

## მინისტრთა კომიტეტის წარმავალი და მომავალი თავმჯდომარეების ერთობლივი დეკლარაცია ადამიანის უფლებების და გარემოს დაცვის საკითხზე

მინისტრთა კომიტეტის წარმავალი (საქართველო) და მომავალი (საბერძნეთი და გერმანია) თავმჯდომარეები:

აღიარებენ გარემოს და კლიმატის წინაშე არსებულ მზარდ საფრთხეს, ასევე გარემოს დაცვის და მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, საერთაშორისო დონეზე გადაუდებელი ერთობლივი, მიზანმიმართული ქმედების საჭიროებას;

იხსენებენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით წევრ ქვეყნებზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სწრაფ განვითარებას და ეროვნული სასამართლოების მიერ გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებებს შორის არსებული ურთიერთკავშირის გამოკვეთის ხელშეწყობას; მხედველობაში იღებენ *ადამიანის უფლებების და გარემოს საკითხზე არსებულ სახელმძღვანელოს*, რომელიც *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე* დაყრდნობით გამოქვეყნდა 2006/2012წწ. და ამჟამად განახლების პროცესში იმყოფება;

იხსენებენ, ამასთანავე, ევროპის სოციალური ქარტიით განსაზღვრულ შესაბამის ვალდებულებებს, მათ შორის, ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) ფარგლებში და ევროპულ და ეროვნულ დონეზე მის შესასრულებლად მიღებულ საჭირო ზომებს;

ხაზს უსვამენ ევროპის საბჭოს მიერ აღებულ გარემოს დაცვის ვალდებულებას, რომელიც გამოიხატა 1979 წელს ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის შემუშავებაში (ბერნის კონვენცია, ევროპის ხელშეკრულებათა სერია 104), ასევე, 1993 წლის კონვენციაში გარემოსთვის საშიში საქმიანობიდან გამომდინარე მიყენებული ზიანისთვის წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ (ევროპის ხელშეკრულებათა სერია 150) და 1998წ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის გზით გარემოს დაცვის შესახებ კონვენციის მიღებაში (ევროპის ხელშეკრულებათა სერია 172);

იხსენებენ, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რეკომენდაციით 1431 (1999) გარემოს დაცვის საკითხზე ევროპის საბჭოს სამომავლო ქმედებების შესახებ, ასევე რეკომენდაციით 1614 (2003) გარემოს დაცვის და ადამიანის უფლებების შესახებ და ბოლოს, რეკომენდაციით 1885 (2009) ჯანსაღი გარემოს უფლების შესახებ, დააყენა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისთვის გარემოს დაცვითი კომპონენტის დამატების საკითხი;

აღიარებენ რა, რომ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის დროს, საქართველომ თავმჯდომარეობის ერთ-ერთ პრიორიტეტად წარმოადგინა ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა, მხედველობაში იღებენ 27 თებერვალს სტრასბურგში გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებების საკითხზე გამართული მაღალი დონის კონფერენციის შედეგებს; აღნიშნავენ, რომ მიმდინარე წელს დემოკრატიის მსოფლიო ფორუმი მიეძღვნება გარემოს გადარჩენის საკითხში დემოკრატიის წვლილის განხილვას;

ითვალისწინებენ რა, რომ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე და კეთილდღეობა დამოკიდებულია კაცობრიობის კოლექტიურ უნარზე უზრუნველყოს ადამიანის უფლებები და ჯანსაღი გარემო მომავალი თაობებისთვის;

იღებენ გადაწყვეტილებას, დამატებით განიხილონ ამ სფეროში ევროპის საბჭოს ინსტრუმენტების პოტენციალი. პირველი ნაბიჯის სახით, მოუწოდებენ მინისტრთა კომიტეტს მიმართოს ადამიანის უფლებათა ხელმძღვანელ კომიტეტს (CDDH) შეიმუშაოს არასავალდებულო ხასიათის სამართლებრივი ინსტრუმენტის პროექტი - ადამიანის უფლებების და გარემოს საკითხზე, მინისტრთა კომიტეტის მიერ არაუგვიანეს 2021 წლის ბოლოს დასამტკიცებლად.